



ირანისტიკა

(გზამკვლევი პირველკურსელებისთვის)



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უკეთ გავიცნოთ ირანი



ირანის ისლამური რესპუბლიკა აზიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს და ვრცელ ტერიტორიას - 1 648 195 კვადრატულ კილომეტრს მოიცავს. იგი სიდიდით მსოფლიოს ოცეულში შედის. ახლო აღმოსავლეთის გულში მდებარე ირანი კასპიის ზღვასა და სპარსეთის ყურეს ხიდივით აკავშირებს, ამავე დროს, ეს უძველესი ქვეყანა აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურული, ინტელექტუალური და პოლიტიკური მოვლენების გზაჯვარედინია. ირანი ლიდერი ქვეყანაა მსოფლიოში ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების, აგროპროდუქტების მრავალფეროვნების, ეკოტურიზმისა და, ზოგადად, ტურიზმის მხრივ.



სპარსული - პოეზიის ენა

*„სპარსული მუსაიფობასა და ალერს-სტყვობასა შინა და ლექსებშიც ქებულია და ტკბილად მოსასმენი.“
იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“*

ცნობილია, რომ ენა ცივილიზაციებს, კულტურებს, ხალხებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთგაგების საშუალებაა. ახალი ენის შესწავლა ახალ კულტურასთან, ახალ სამყაროსთან ზიარებას ნიშნავს. იგი საშუალებას გვამძლევს, გავეცნოთ ხალხებს, მათ ინტელექტუალურ და კულტურულ მემკვიდრეობას. სპარსული ენა და ლიტერატურა საუკუნეების განმავლობაში პოეზიის, მეცნიერების, რელიგიის, მისტიციზმის ენად მიიჩნეოდა.

მრავალი ევროპელი ირანისტი და არაირანისტი, ლიტერატურის, ფილოსოფიისა თუ ხელოვნების მოყვარული განათლებული ადამიანი მიიჩნევს, რომ ირანულმა კულტურამ ლიტერატურისა და ხელოვნების რჩეული შედეგები აჩუქა მსოფლიოს. სპარსული ხელნაწერები, მხატვრობის თუ ხელოვნების სხვა დარგების დახვეწილი ნიმუშები დღეს მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მუზეუმებს, არქივებსა და ბიბლიოთეკებს ამშვენებს.

სპარსული ენა და ლიტერატურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ისწავლება. ასობით სტუდენტი თუ პროფესორი დაინტერესებულია ამ ენით, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა საქართველოში სპარსული ენისა და ლიტერატურის სწავლების საუკუნოვანი ისტორია.

რატომ ავირჩიოთ ირანისტიკა?

ასეთ არჩევანს შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:

- ირანული კულტურისა და ცივილიზაციის ადგილი რეგიონსა და მსოფლიოში;
- ირანის თვალსაჩინო პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალი;
- ირან-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული, კულტურული, ენობრივი და ლიტერატურული კონტაქტები;
- საქართველოში ირანისტიკის, სპარსული ენისა და ლიტერატურის სწავლების საუკუნოვანი ისტორია;
- ირან-საქართველოს მრავალმხრივი თანამშრომლობის არსებული და მზარდი პოტენციალი, (ტურიზმი, ტრანსპორტი, მრეწველობა, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა და ა.შ.) სპარსული ენის სპეციალისტებზე მოთხოვნის ზრდა და სხვ.



ირანისტიკის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

ირანისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში შემდეგ პოზიციებზე:

- სპარსული ენის მასწავლებელი საქართველოს სკოლებში;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ეროვნული ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა ცენტრი, ეროვნული მუზეუმი და სხვა) მკვლევარი;
- საქართველოს უნივერსიტეტებში ირანისტიკის, სპარსული ენისა და ლიტერატურის ლექტორი;
- ანალიტიკური და სტრატეგიული კვლევების ცენტრების მკვლევარი, ექსპერტი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი (დიპლომატი, თარჯიმანი, ექსპერტი და სხვ.);
- საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს და მისი კულტურის განყოფილების თანამშრომელი: თარჯიმანი, რეფერენტი, ოფის-მენეჯერი;
- სავაჭრო პალატის თანამშრომელი;
- სათარჯიმნო-სანოტარო ბიუროს თარჯიმანი;
- ირანული და ქართული ტურისტული სააგენტოს თანამშრომელი: თარჯიმანი, გიდი, მენეჯერი;
- ეკონომიკური საქმიანობით დაკავებული ირანული კომპანიის თანამშრომელი;
- ჟურნალისტი, მედიის ორენოვანი სპეციალისტი;
- მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ თეირანში საქართველოს საელჩოს გახსნის დღიდან ქართველი ელჩებისა და საელჩოს დიპლომატების დიდ ნაწილს სწორედ აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტები შეადგენენ, რომლებმაც სტუდენტობის პერიოდში სპარსული ენა შეისწავლეს.

ჰამიდ მოსთაფავი

თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის
განყოფილების ხელმძღვანელი



ირანსა და საქართველოს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ რეგიონის სტაბილურობაში და განვითარებაში. საყოველთაოდ ცნობილია ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ისტორიული და კულტურული ურთიერთობების როლი და მნიშვნელობა. სწორედ ამ მნიშვნელობითაა განპირობებული საქართველოში, გასული საუკუნიდან მოყოლებული, აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრების, სპარსული ენის კურსების, ირანისტიკის კათედრების დაფუძნება და მათი საქმიანობა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ირანისტიკის სწავლების ასწლოვანი ტრადიცია არსებობს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის კათედრა ერთ-ერთი უძველესი კათედრაა

კავკასიის რეგიონში. წლების განმავლობაში კათედრა ვითარდებოდა და ეს პროცესი კვლავაც წარმატებით გრძელდება. პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადავუხადო თსუ-ის რექტორს, ჰუმანიტარულ მეცნიერებთა ფაკულტეტის დეკანს, ირანისტიკის კათედრის ხელმძღვანელს, პროფესორებს, სპარსული ენისა და ლიტერატურის მიმართულების სტუდენტებს, იმ ირანისტებს, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე ამ პროფესიას ემსახურებოდნენ, უდიდესი წვლილი შეიტანეს და შეაქვეთ საქართველოში ირანული კულტურისა და ცივილიზაციის პოპულარიზაციის საქმეში, ირანსა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობების დანერგვასა და ხელშეწყობაში.

ახალგაზრდა თაობამ აუცილებლად უნდა იცოდეს ქართველი ირანისტების ღვაწლის და ამ ხანგრძლივი ტრადიციის შესახებ. ძალიან მახარებს, როცა დღეს ვხედავ, თუ როგორი ენთუზიაზმით მუშაობენ ახალგაზრდა ირანისტები და სტუდენტები გამოცდილი პროფესორების გვერდით.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება ყოველთვის ხელს უწყობდა ირანისტიკის მიმართულების მქონე უნივერსიტეტებს, განსაკუთრებით კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და თანამშრომლობდა მათთან. გვჯერა, რომ ირანში ქართველოლოგიის კათედრის დაარსება და საქართველოში ირანისტიკის კათედრის გაძლიერება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივი ურთიერთობების განსამტკიცებლად და სამეცნიერო ცენტრებს შორის საუნივერსიტეტო კავშირების გასაფართოებლად.

უნივერსიტეტის და საელჩოს კულტურის განყოფილების ერთობლივი ძალისხმევა აუცილებელია სამეცნიერო და კულტურული თვალსაზრისით ირანისტიკის კათედრის განსავითარებლად და წარსული წარმატების განსამტკიცებლად. ამდენად, კულტურის განყოფილების ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი პროგრამა ირანისტიკის სპეციალობის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ყოველმხრივი მხარდაჭერა და ხელშეწყობაა. ეს პროგრამა ითვალისწინებს:

- ირანისტიკის სპეციალობისა და სპარსული ენის შემსწავლელი წარჩინებული სტუდენტების სწავლის საფასურით უზრუნველყოფას;
- მათთვის მოკლევადიან სასწავლო კურსებში მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფას;
- სტუდენტებისთვის სტიპენდიის მინიჭებას ირანში სწავლის გასაგრძელებლად სამივე საფეხურზე;
- პროფესორების, სტუდენტების და სპარსული ენის შემსწავლელთა სხვადასხვა მიზნით ირანში მივლინებას;
- საუნივერსიტეტო შორისო სპარსულენოვანი ოლიმპიადის ჩატარებას და გამარჯვებულთა დაჯილდოებას;
- ირანელი და ქართველი სტუდენტების ერთობლივი სახელოვნებო კონკურსის ჩატარებას;
- ირანული ფილმების კვირეულის და ყოველთვიური ჩვენების გამართვას სპარსული ენის ცოდნის დონის ასამაღლებლად;
- ცოდნის ასამაღლებელი კურსების, სასწავლო-სამეცნიერო ფორუმების ჩატარებას;
- ირანისტიკის კაბინეტების საჭირო ტექნიკითა და სასწავლო მასალებით აღჭურვას (სხვადასხვა ტექნიკური საშუალება, უახლესი სახელმძღვანელოები და სხვ.);

- პოეზიის საღამოების გამართვას;
- სპარსული ლიტერატურის მთარგმნელთა კონკურსების ორგანიზებას;
- ირანისტების - პროფესორების და სტუდენტების ორიგინალური და თარგმნილი წიგნების გამოცემის ხელშეწყობას;
- სპარსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემას;
- ქართველი ირანისტების საერთაშორისო ასოციაციის ვებგვერდის გახსნას და განახლებას;
- ლიტერატურული კონფერენციების გამართვას, გამოჩენილ ირანელ და ქართველ მწერლებთან შეხვედრების ორგანიზებას;
- ირანისტიკის ცენტრების და ინსტიტუტების მხარდაჭერას;
- გამოჩენილი ქართველი ირანისტების ღვაწლის დაფასებას;
- თანამედროვე ირანის გასაცნობად გამოფენების მოწყობას;
- ჟურნალ „კალმის“ გამოცემას.

ვიმედოვნებ, თანამშრომლობის წყალობით, შევძლებთ სპარსული ენისა და ლიტერატურის ცნობადობის გაზრდას, ირანისტიკის კვლევების განვითარებასა და კვალიფიციური ირანისტების აღზრდას, ირანელი მეცნიერებისა და უცხოელი ირანისტების სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობისთვის სათანადო ფორმატის შერჩევას.



როგორ აფასებს ირანი ქართველი ირანისტების შრომას

ირანის ისლამური რესპუბლიკა ცდილობს, უყურადღებოდ არ დატოვოს იმ მეცნიერთა, პედაგოგთა და მთარგმნელთა შრომა, რომელთაც სპარსული ენისა და ირანული კულტურის განვითარებაში წვლილი მიუძღვით. უკანასკნელ წლებში არაერთმა ქართველმა აღმოსავლეთმცოდნემ და ირანისტმა მიიღო ირანის პრესტიჟული ჯილდო და პრემია:

1. ირანის ისლამური რესპუბლიკის წლის წიგნის საერთაშორისო პრემია

ირანის ისლამური რესპუბლიკის წლის წიგნის საერთაშორისო პრემია მიზნად ისახავს გასული წლის საუკეთესო წიგნების ავტორის გამოვლენას ისლამმცოდნეობისა და ირანისტიკის დარგებში სამი მიმართულებით - ორიგინალური ნაშრომის ავტორი, მთარგმნელი, რედაქტორი. ირანის ისლამური რესპუბლიკა განსაკუთრებულად აფასებს ქართველი ირანისტების სამეცნიერო საქმიანობას, კვლევებს, თარგმანებს. ამის დასტურია ისიც, რომ, ამ კონკურსის ჟიურის წევრების გადაწყვეტილებით, წლის წიგნის საერთაშორისო პრემია რამდენიმე გამორჩეულ ქართველ მეცნიერსა და მთარგმნელს მიენიჭა:

1. პროფ. გიორგი ლობჯანიძე (2008 წ.);
2. პროფ. მაგალი თოდუა (2009 წ.);
3. პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილი (2010 წ.);
4. ე-ნი ბელა შალვაშვილი (2012 წ.);

2. ფარაბის საერთაშორისო ფესტივალის პრემია

ირანის მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიების სამინისტროს ორგანიზებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში და ისლამმცოდნეობაში ყოველწლიურად იმართება ფარაბის საერთაშორისო ფესტივალი. ამ ფესტივალზე ჟიურის ქართველი მეცნიერების კვლევები და თარგმანებიც წარედგინება. ფარაბის ფესტივალს უკვე ორი ქართველი გამარჯვებული ჰყავს:

1. პროფ. გიორგი სანიკიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი - დაჯილდოვდა 2012 წელს მონოგრაფიისათვის „შიიზმი და სახელმწიფო ირანში“;

2. პროფ. გრიგოლ ბერაძე, ქართველი ირანისტი და ისტორიკოსი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მთავარი კონსულტანტი და მკვლევარი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო კონსულტანტი - დაჯილდოვდა 2020 წელს.

3. შაჰრიარის სახელობის კულტურის საერთაშორისო ორდენი

17-18 სექტემბერს ირანში „სპარსული პოეზიის და ლიტერატურის ეროვნული დღე“ აღინიშნება. ეს დღე შაჰრიარის, დიდი ირანელი პოეტის, გარდაცვალების დღეს ემთხვევა.

თითქმის არც ერთ წელს არ ჩაუვლია ამ ფესტივალზე ისე, რომ გამარჯვებულთა შორის ქართველი მეცნიერი და მკვლევარი არ ყოფილიყო. შაჰრიარის სახელობის საერთაშორისო ფესტივალის ქართველი გამარჯვებულები არიან:

1.პროფ. ნომადი ბართაია - აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტისა და ირანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი;

2.პროფ. თეა შურღაია - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის კათედრის ხელმძღვანელი;

3.პროფ. ლილი ჟორჟოლიანი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპარსული ენისა და ლიტერატურის პროფესორი;

4.პროფ. მაია სახოკია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი.



ირანისტიკული ცენტრები მსოფლიოსა და საქართველოში

მსოფლიოში ოთხასამდე ცენტრი არსებობს, სადაც სპარსული ენა და ლიტერატურა, ირანისტიკა სამ - საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე ისწავლება. მსოფლიოს კიდევ ორას უნივერსიტეტში, სადაც აღმოსავლეთმცოდნეობისა და ახლო აღმოსავლეთის კვლევების სპეციალობები არსებობს, სტუდენტებს პირველი კურსის მეორე სემესტრიდან რომელიმე აღმოსავლური ენის - სპარსულის, არაბულის, თურქულის ან ებრაულის შესწავლა ევალებათ. სტუდენტთა ნაწილი სპარსულ ენას ირჩევს.

ყოველწლიურად მსოფლიოში ათეულობით სერიოზული ნაშრომი და კვლევა ქვეყნდება ძველი და თანამედროვე ირანის, სპარსული ენისა და ლიტერატურის შესახებ. ითარგმნება როგორც კლასიკური, ასევე, თანამედროვე სპარსული მწერლობა. ამ ნაშრომთა უმეტესობას წერენ და ქმნიან ადამიანები, რომელთაც ირანისტიკული განათლება მიიღეს, რომლებიც სპარსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები არიან.

სპარსული ენა საქართველოს ოთხ უნივერსიტეტში ისწავლება:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ);
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი);
- აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქსუ);
- საქართველოს უნივერსიტეტი (სუ).



ივანე ჯავახიშვილის „სპარსული ისტორიული ქრესტომათია,“ (გამოუქვეყნებელი), ავტოგრაფი.

აკაკი შანიძის არქივიდან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სპარსული ენის სწავლების 103 წლიანი გამოცდილების მქონე უმაღლესი სასწავლებელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, რომელშიც ირანისტიკა დამოუკიდებელი სპეციალობის (Major და Minor) სახით ისწავლება. ამ სპეციალობით



ირანისტიკის კათედრის ხელმძღვანელი თეა შურღაია, ჰამიდ მოსთაფავი და ირანის ელჩი სეიედ ჯავად ყავამ შაჰიდი ირანისტიკის კათედრის საიუბილეო გამოფენაზე (2019)

დაინტერესებულ სტუდენტებს თსუ-ში სწავლების სამივე საფეხურზე შეუძლიათ განათლების მიღება.

სპარსული ენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი დაარსების დღიდან (1918 წ.) ისწავლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ამ საქმეში უფრო ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, ვიდრე თეირანის უნივერსიტეტს, რომელიც 1934 წ. გაიხსნა. 1939 წლიდან, ჯერ კიდევ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის გახსნამდე, თსუ-ში უკვე არსებობდა სპარსული ფილოლოგიის (შემდგომში - ირანული ფილოლოგიის, დღეს - ირანისტიკის) კათედრა, რომელმაც არაერთი ცნობილი

მეცნიერი, მთარგმნელი და პედაგოგი აღზარდა.

დღესდღეობით ირანისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ჩართულია ირანიდან მოწვეული პედაგოგი, რომელიც სტუდენტებს სპარსული ენის პრაქტიკულ ათვისებაში ეხმარება.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება მუდამ მხარში უდგას ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს: აფინანსებს სტუდენტების სწავლას ირანისტიკის სპეციალობაზე (Major), უზურუნველყოფს მათ ირანში გამოცემული უახლესი სასწავლო ლიტერატურით, სთავაზობს სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამას. ირანისტიკის სპეციალობის სტუდენტები მონაწილეობენ ირანის წამყვანი უნივერსიტეტების საზაფხულო სკოლების მეცადინეობებში.

სტუდენტებს ხშირად ეძლევათ საშუალება, შეხვდნენ ირანელ მწერლებსა და პოეტებს, მხატვრებს, კალიგრაფებს, დაესწრონ ირანელ ხელოვანთა გამოფენებს, კონცერტებსა და ირანული ფილმების ჩვენებას.

ყოველწლიურად თსუ-ის ირანისტიკის სპეციალობის სტუდენტები აღნიშნავენ ირანულ ახალ წელს - ნოურუზს, მართავენ ირანელ პოეტთა საღამოებს და ა.შ., მონაწილეობენ და იმარჯვებენ შემოქმედებით კონკურსებში, სამეცნიერო კონფერენციებში, ოლიმპიადებსა და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის სპეციალობის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან ძირითადი სახელმძღვანელოებით: ირანში გამოცემული სახელმძღვანელოების გარდა, თსუ-ის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში ატვირთულია სპარსული ენის ქრესტომათიები (II-III ტ.), საკითხავი წიგნები და სპარსული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოები. სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება სასწავლო დანიშნულების ინტერნეტრესურსები, რაც სტუდენტს მნიშვნელოვნად უადვილებს მუშაობას.

სპარსული ენის სწავლება საქართველოს სკოლებში

საქართველოში, ოთხ უნივერსიტეტს გარდა, სპარსული ენა ისწავლება თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიში, 51-ე, 55-ე და 195-ე საჯარო სკოლებში. სპარსულის ენის შესწავლა არჩევითია და უფასო. თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება და საადის ფონდი (ირანი) სკოლებში ამ ენის სწავლების მხარდამჭერები არიან. მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, იმოგზაურონ ირანში და გაეცნონ ქვეყნას, რომლის ენასაც ეუფლებიან.



ცნობილი ირანელი მხატვარი - ნასერ ფალანგი სტუმრად თსუ-ის ირანისტიკის კათედრაზე

თეირანის უნივერსიტეტი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტი

თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 1934 წ. დაფუძნდა რეზა-შაჰ ფაჰლავის ბრძანებით, ირანის უდიდესი უმაღლესი სასწავლებელია. იგი დედა უნივერსიტეტად იწოდება და ქვეყნის უმაღლესი განათლების სიმბოლოდაა მიჩნეული.



ქართველი სტუდენტები თეირანში

თეირანის უნივერსიტეტში 25 ფაკულტეტი, 9 კამპუსი და 16 კვლევითი ცენტრია. აქვს თავისი გამომცემლობა. ამჟამად უნივერსიტეტს დოქტორი მოკამად ნილი აჰმადაბადი ხელმძღვანელობს. თეირანის უნივერსიტეტი დღესდღეობით 139 დარგობრივ ჟურნალს (კვარტალური, ყოველწლიური და ა.შ.) გამოსცემს, მათგან 97 ავტორიტეტულ სამეცნიერო-კვლევით გამოცემად არის აღიარებული.

თეირანის უნივერსიტეტი ხშირად მასპინძლობს ქართველ სტუდენტებს. სხვადასხვა წელს, სპარსული ენის კურსების გარდა, ამ უნივერსიტეტის მაგისტრატურა და დოქტორანტურა რამდენიმე ქართველმა დაამთავრა. მათ შორისაა ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, მთარგმნელი და პოეტი, პროფ. გიორგი ლობჯანიძე. თეირანის უნივერსიტეტის დოქტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ალექსანდრე ჭულუხაძე, რომელიც ამჟამად საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თეირანის უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, სტაჟირება გაიარონ ან სწავლა განაგრძონ ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავარ უნივერსიტეტში. თსუ-ის სტუდენტები ირანის სხვა ქალაქებშიც (ისპაჰანი, შირაზი, ბუშეჰრი, თავრიზი, ყაზვინი და სხვ.) მონაწილეობენ სპარსული ენის ცოდნის ასამაღლებელ კურსებში.

საადის ფონდი

საადის ფონდი არასპარსულენოვანთათვის სპარსული ენის სწავლების მიზნით შეიქმნა. დღესდღეობით საადის ფონდმა სპარსული ენის 50-მდე სახელმძღვანელო შეიმუშავა. მათი დიდი ნაწილი დაბეჭდილია ან ბეჭდვის პროცესშია. ეს ორგანიზაცია სპარსული ენის შესწავლით დაინტერესებულ უცხოელებს სხვადასხვა ტიპის კურსებს სთავაზობს.

საადის ფონდის კურსების ფორმატში სპარსული ენის დონეები შემდეგნაირად ნაწილდება:

- დაწყებითი საფეხური (Beginner) - 40 საათიანი სწავლება;
- საბაზისო საფეხური (Elementary)- 120 საათიანი სწავლება;
- საშუალო საფეხური (Intermediate)- 360 საათიანი სწავლება;
- მაღალი საფეხური (Advanced) - 200 საათიანი სწავლება.

სპარსული ენის ცოდნის ასამაღლებელი კურსები არასპარსულენოვანთათვის:

სპარსული ენის შემსწავლელთათვის განკუთვნილი ცოდნის ასამაღლებელი კურსები ირანში და მის ფარგლებს გარეთ ენობრივი კომპეტენციის ყველა კომპონენტის - საუბრის, მოსმენის, წერისა და კითხვის უნარების განვითარებას ემსახურება. ამ კურსების მიზნებია:

1. სპარსული ენის შემსწავლელთა საკომუნიკაციო, კითხვის, სასაუბრო, წერისა და მოსმენის უნარების განმტკიცება;
2. ირანელთა წეს-ჩვეულებების, კულტურის, ისტორიის, ირანული ცივილიზაციის გაცნობა.
3. უმდიდრესი სპარსული ლიტერატურის გაცნობა;
4. სპარსული ენის წარმატებული სტუდენტების გამოვლენა ირანში სწავლის გასაგრძელებლად;
5. სპარსული ენის მასწავლებლებისა და თარჯიმნების ტრენინგი საზღვარგარეთ მოკლე და გრძელვადიანი კურსებისთვის მოსამზადებლად;
6. მოზრდილთათვის სპარსული ენის სწავლებისათვის საჭირო სამეცნიერო მეთოდების დაუფლება;
7. სპარსული ენის სწავლების მეთოდების ცოდნის დონის ამაღლება.

საადის ფონდის მიერ გამოცემული უახლესი სახელმძღვანელოები და სასწავლო რესურსები

საადის ფონდის ერთ-ერთი პრიორიტეტი, მისი ძირითადი მიზანი სპარსული ენის სწავლების სტანდარტიზაციაა. საადის ფონდმა გაითვალისწინა როგორც საერთაშორისო დონეზე არაირანელი სტუდენტებისათვის სპარსული ენის სწავლების დონეების და შინაარსის მიხედვით დაყოფის აუცილებლობა, ასევე, ამგავრი მიდგომის ეფექტურობა სპარსული ენის სწავლების საქმეში. სწორედ ამ პრინციპების საფუძველზე შეიქმნა სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელმისაწვდომია სპარსული ენის შემსწავლელთათვის და ირანისტიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის:

- ◆ კითხვის სიამოვნება (“Enjoy Reading”);
- ◆ სპარსული ლექსიკის პრაქტიკული გამოყენება (“Persian Vocabulary in Use”);
- ◆ ირანოლოგია (“Iranology”);
- ◆ „პირველი ნაბიჯი“ (“First Step Persian”);
- ◆ „ჩარჩო“ (“Framework”);
- ◆ „მინა“ (ნაწ. 1,2,3) (“Mina” 1,2,3).



ირანისტიკის სასწავლო პროგრამებში ჩართული ირანელი პედაგოგი

დოქტ. ამირ-რეზა ვაქილიფარდი რიგით მეხუთე ირანელი პროფესორია, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტებთან მუშაობს. ეს ტრადიცია ათ წელზე მეტია, გრძელდება.



ამირ-რეზა ვაქილიფარდი ყაზვინის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IKIU) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორია. სადოქტორო დისერტაცია 2008 წ. მონრეალში (კანადა) დაიცვა. 1996 წლიდან ასწავლის სპარსულს, როგორც მეორე ენას. 2011 წელს დაიწყო ჟურნალის „უცხოენოვანთათვის სპარსული ენის სწავლება“ (JTPSOL) გამოცემა, რომელსაც 9 წლის მანძილზე რედაქტორობდა.

მანვე ჩაუყარა საფუძველი სპარსული ენის კომპეტენციის დონის შეფასების საერთაშორისო სასერტიფიკაციო გამოცდას (SAMFA), რომლის სამეცნიერო კომიტეტის ხელმძღვანელიც თავად არის. „SAMFA“-ს გამოცდა უკვე რამდენჯერმე ჩატარდა ირანსა და მის ფარგლებს გარეთ. საქართველოში წელს ეს გამოცდა მეორედ ტარდება.

ამირ-რეზა ვაქილიფარდი არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორია, მათ შორის:

„ფარსინამე“ - სპარსული ენის სახელმძღვანელო უცხოელი სტუდენტებისთვის 16 ტომად;

„სპარსული პროზის სახელმძღვანელო“ (ორტომეული, B2 - C1 დონე);

„სპარსული პოეზიის სახელმძღვანელო“ (ორტომეული, B2 - C1 დონე);

„ირანის ისტორია“ (1 ტომი, C1 დონე) და ა.შ.

ბ-ნი ვაქილიფარდი სპარსულ ენას საქართველოს ოთხ უნივერსიტეტში ასწავლის და ამბობს, რომ ქართველი სტუდენტები ნიჭიერები, მოტივირებულები არიან და სპარსული ენის შესწავლის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ. ისინი ირან-საქართველოს ეკონომიკურ, სავაჭრო და ტურისტულ თანამშრომლობაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ. სანამ საქართველოში იმყოფება, ბ-ნი ვაქილიფარდი ამ უნივერსიტეტების პროფესორებთან ერთად მრავალფეროვან სამეცნიერო საქმიანობას გააგრძელებს და იმედს გამოთქვამს, რომ ეს თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საქართველოში ირანისტიკის, სპარსული ენისა და ლიტერატურის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.



„SAMFA“-ს გამოცდა საქართველოში

სხვადასხვა თაობის ირანისტები გამოცდილებას
გვიზიარებენ



ანი ლაზვიაშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. იკვლევს თანამედროვე ირანელი მწერალი ქალის - ფარიბა ვაფის შემოქმედებას. თარგმნილი აქვს მისი ნოველები. 2015 წ. გამოიცა ანის მოთხრობების კრებული „სახლების მომინაურება“. გატაცებულია ფოტოგრაფიით.



ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე 2011 წელს ჩავაბარე და სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი ცხოვრების უდიდესი თავგადასავალი, რომელიც ახლაც გრძელდება. თავიდან ყველაფერი საკმაოდ რთული ჩანდა და, სიმართლე რომ ვთქვა, გაქცევაზეც მიფიქრია, მაგრამ ყოველდღე, თითოეულ ლექციაზე ახალი კარი იღებოდა, ძალიან საინტერესო სამყაროსკენ მიმავალი, და ერთ დღესაც ვიგრძენი, რომ ზუსტად იქ ვიყავი, სადაც თურმე ყოველთვის მინდოდა ყოფნა და იმას ვაკეთებდი, რისი კეთებაც მთელი დარჩენილი ცხოვრება სიამოვნებას მომანიჭებდა.

ბაკალავრიატზე სწავლის ოთხი წელი არ ყოფილა მხოლოდ რუტინული შრომისა და უბრალოდ ენის, ლიტერატურისა თუ ისტორიის შესწავლის პერიოდი, ეს ერთგვარ უჩვეულო მოგზაურობას ჰგავდა ძველ სპარსეთსა თუ თანამედროვე ირანში. უნივერსიტეტში გამართული შეხვედრები თანამედროვე ირანელ არტისტებთან, მათი გამოფენები, აღმოსავლური მუსიკისა და სპარსული პოეზიის საღამოები, სევდიანი კინოჩვენებები - ამ ყველაფერში არაჩვეულებრივ თანაკურსელებთან და ლექტორებთან ერთად მონაწილეობა ნამდვილად ჰგავდა დიდ, ჯადოსნურ და დაუვიწყარ მოგზაურობას.

შემდეგ ნამდვილი მოგზაურობების დროც მოვიდა. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში ერთი თვით ყაზვინში ვცხოვრობდი თანაკურსელებთან ერთად და სპარსული ენისა და ლიტერატურის საზაფხულო კურსებს ვესწრებოდი. ეს კურსები ყოველწლიურად ტარდება ირანის სხვადასხვა ქალაქსა და უნივერსიტეტში. იქ მონაწილეობენ სტუდენტები და ლექტორები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. იმ ცხელი ირანული აგვისტოს შემდეგ ყველანი, ვინც ამ კურსებს ვესწრებოდით, უკეთ ვსაუბრობდით სპარსულად, უკეთ გვესმოდა და უკვე მეტ-ნაკლებად ვიცნობდით ირანული ცხოვრების ქაოტურ რიტმს.

ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში, 2015-2017 წლებში, კიდევ ორჯერ ვიყავი ირანში სპარსული ენისა და ლიტერატურის სასწავლო კურსებზე დასასწრებად, ამჯერად უკვე თეირანსა და თავრიზში. ეს კურსები, სასწავლო პროგრამის გარდა, ითვალისწინებს ექსკურსიებს ირანის სხვადასხვა ქალაქში და მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ, მოინახულონ ქვეყნის ღირსშესანიშნაობები და გაეცნონ ადგილობრივთა ცხოვრების წესს - ეს ყველაფერი კი ქვეყნის კარგად გაცნობის არაჩვეულებრივი საშუალებაა. ერთ-ერთ კომპანიაში სპარსული ენის თარჯიმნად მუშაობის რამდენიმე წლის მანძილზე კიდევ მრავალჯერ ვიყავი ირანში სამუშაო ვიზიტებით, მაგრამ სასწავლო კურსებზე, შესანიშნავ კოლეგებთან ერთად გატარებულ დროს გამორჩეული ადგილი უკავია ჩემს მეხსიერებაში.

ირანში მოგზაურობისას სულ ვცდილობდი, ფირზე აღმებეჭდა განსაკუთრებული მომენტები, საინტერესო ადამიანები და ადგილები. წლების განმავლობაში სტუდენტების მიერ გადაღებული ბევრი შესანიშნავი კადრი დაგროვდა და საქართველოში ირანის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელშეწყობით რამდენიმე გამოფენაც გაიმართა, მათ შორის იყო ჩემი და ჩემი თანაკურსელის - მარიკა ბახტადის ფოტოგამოფენა სახელწოდებით „სად არის ჩემი მეგობრის სახლი?“. ის კი, რაც ფოტოაპარატმა ვერ ასახა და მხოლოდ გონებაში დარჩა კადრებად, ჩემს მოთხრობებში გარდაისახა პერსონაჟებად და სიუჟეტებად. 2015 წელს გამოვიდა ჩემი მოთხრობების კრებული „სახლების მოშინაურება“, რამდენიმე ნოველა კი ირანში თავს გადახდენილი ამბებით არის ინსპირირებული. ირანში ხშირმა და არც ისე ხანმოკლე მოგზაურობებმა საშუალება მომცა, ასე თუ ისე კარგად გავცნობოდი ირანელი ხალხის ხასიათსა და ცხოვრების წესს. ეს კი საკმაოდ მეხმარება თანამედროვე სპარსული ლიტერატურის კითხვის, გაგებისა და თარგმნის საქმეში. ჩემი რამდენიმე თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „არმალანში“ და იმეღია, ისევ შევძლებ ამ საქმის გაგრძელებას.

ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში დროდადრო მაშინებდა იმაზე ფიქრი, რომ ჩემი პროფესიით მხოლოდ რუტინული სამსახური შემეძლო მეპოვა, ვყოფილიყავი თარჯიმანი და საბუთების თარგმნაში გამეღია დრო, მაგრამ ჩემი პროფესიული ცხოვრება სულაც არ აღმოჩნდა მოსაწყენი.



სტაბილური სამსახურის პარალელურად ხშირად მქონდა საინტერესო შემოთავაზებებიც, რომლებიც ძალიან კარგ და დასამახსოვრებელ გამოცდილებებად იქცა. ასე მაგალითად, ქართველ კოსტიუმების მხატვართა, დეკორატორთა და ფოტოგრაფთა ლექციების თარგმნა დამწყები ირანელი ხელოვანებისთვის; სხვადასხვა პროფესიის საინტერესო ადამიანების მასპინძლობა და მათთვის ქართული კულტურის გაცნობა, საერთაშორისო თეატრალულ ფესტივალზე ქართველი მსახიობების მასტერკლასების თარგმნა ახალგაზრდა ირანელი არტისტებისთვის. შეიძლება ითქვას, ეს გზა საკმაოდ მრავალფეროვანი და მოულოდნელობებით აღსავსე აღმოჩნდა.

ვინც ახლა იწყებს ამ გზაზე შედგომას, ბევრი შრომა მოუწევს, ბევრ სირთულესაც გადააწყდება, მაგრამ მათ ნაცვლად მიხარია, რომ წინ აქვთ ახალი, წარმოუდგენლად საინტერესო და მომაჯადოებელი სამყაროს გაცნობის ბედნიერება.

შორენა ჯიმშერიშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი. უყვარს ლიტერატურა და უცხო ენები.



2016 წელს 50%-იანი დაფინანსებით ჩავირიცხე აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამაზე, არაბისტიკის განხრით. მოგვიანებით სპეციალურ სახელმწიფო პროგრამაში მოვხვდი, რის შედეგადაც მომდევნო ოთხი წლის საფასურიც სრულად დამიფინანსდა.

2017 წელს გადაწყვიტე, შემეცვალა მიმართულება და სწავლა ირანისტიკის სპეციალობით გამეგრძელებინა. რთულია, როდესაც ერთი წლით უკან რჩები და ყოფილი თანაკურსელები

შენზე ადრე ამთავრებენ ცხოვრების ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს, მაგრამ ყოველთვის, როდესაც რაიმე რთულ გადაწყვეტილებას ვიღებ ან უკვე მიღებულს ვცვლი, მახსენდება პირველ კურსზე ჩემი ლექტორის, ირანისტიკის, ქალბატონ მანანა კვაჭაძის ნათქვამი: „გადაფიქრება ფიქრის ნაწილია და არაფერია ამაში ცუდი, რადგან ეს ნიშნავს, რომ აზროვნებ“.

როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება მიმიღია და მეოთხე წელია, სპარსულ ენასა და ლიტერატურას ვსწავლობ.

შემღებობისდაგვარად ვეცადე, სტუდენტური წლები პროდუქტიულად გამომეყენებინა და სხვადასხვა ღონისძიებაში მიმელო მონაწილეობა, ეს იქნებოდა ირანული ახალი წლის - ნოურუზისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც ყოველწლიურად იმართება ირანისტიკის კათედრაზე, თუ საადი შირაზელის დღე, როცა ირანელი პოეტის ლექსის პოლონური თარგმანი წავიკითხე.

2020 წელს სამეცნიერო ჟურნალის „სტუდენტური წელიწდეული-ჰუმანიტარული კვლევების“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა ჩემი პირველი სამეცნიერო ნაშრომი: „შესაქმის ძველადმოსავლური (შუმერული, აქადური) ვერსიების გამოძახილი ომარ ხაიამის რობაიებში“. 2020 წელსვე მივიღე მონაწილეობა მთარგმნელობით სახელოსნოში, რომელიც ფონდ „დიოგენეს“ მიერ იყო ორგანიზებული. ამ სახელოსნოში ჩემ მიერ სპარსული ენიდან ნათარგმნი ნოველა ჟურნალ „არმაღანის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნდა. ამავე წელს მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის გაზაფხულის სემესტრის სტიპენდიანტიც გავხდი.

სპარსული ენის გარდა, მესამე წელია, ვეუფლები პოლონურ ენას. ჩემი მიზანია, მოვიპოვო დაფინანსება, გავემგზავრო პოლონეთში და მაგისტრატურაში ირანისტიკის მიმართულებით გავაგრძელო სწავლა.

როგორც ჯოან როულინგის ცნობილი პერსონაჟი იტყოდა, “მე არ შევწყვეტ მცდელობას, სანამ მიზანს არ მივაღწევ“.

კატო ყარსელიშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტიკის (Major) და ირანისტიკის (Minor) ბაკალავრი. თსუ-ში სწავლის პარალელურად, აკ. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი გახდა. ამჟამად სამხატვრო აკადემიის ამავე სპეციალობის მაგისტრატურის პირველკურსელია. უყვარს აღმოსავლური ხელოვნება.



2015 წელს ჩავირიცხე თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებაზე. ადრევე მქონდა გადაწყვეტილი ამ მიმართულებით სწავლის გაგრძელება, რადგან მინდოდა, ქართული კულტურა დროისა და სივრცის ჭრილში შემეწავლა. ვფიქრობ, ვისაც ქართული ყოფა არა მხოლოდ ისტორიული, არამედ დღევანდელი კონტექსტითაც (რადგან იგი „შობს მომავალსაც“) აინტერესებს, მას აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებაზე შესასწავლი საკითხები გულგრილს არ დატოვებს.

ჩემმა ინტერდისციპლინარულმა ინტერესმა განაპირობა ორი საბაკალავრო პროგრამის - არაბისტიკისა და ირანისტიკის არჩევა. როდესაც პირველ კურსზე „აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი“ გავიარე, არჩევნის გაკეთება კიდევ უფრო გამიჭირდა. დავრწმუნდი, რომ სწორი გადაწყვეტილება მიმიღია - ეს სფერო კვლევის ფართო სპექტრს მთავაზობდა, თუმცა ჩემი მოსაზრებებისა თუ ფიქრების გასამყარებლად სახელოვნებათმცოდნეო განათლებაც აუცილებელი იყო. ამიტომ მეორე კურსზე სწავლისას აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე. სამ სპეციალობაზე თანადროულად სწავლა ნამდვილად არ იყო ადვილი, მაგრამ ეს ჩემი არჩევნის გამოცდა იყო. დღემდე ჩემი კვლევის სფერო ამ დარგებს მოიცავს და სწრედ ამიტომ ვფიქრობ, რომ გამოცდა წარმატებით ჩავაბარე.

ბაკალავრიატის მეორე კურსიდან ვმონაწილეობდი სამეცნიერო კონფერენციებში. ჩემი რამდენიმე სტატია, მათ შორის, „ხეთური არქიტექტურა“, სტუდენტურ ჟურნალში დაიბეჭდა. ეს საინტერესო გამოცდილება იყო. 2017 წელს DAAD-ის სტიპენდია მოვიპოვე და რამდენიმე თვით გერმანიაში განვაგრძე სწავლა, რამაც ჩემი სფერო ევროპული გადასახედიდან დამანახა. პრობლემის სხვადასხვა კუთხით აღქმა კი აუცილებელია. ბაკალავრიატის ბოლო კურსზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლურ ფონდში გავიარე სტაჟირება, რამაც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალება მომცა. ჩემთვის განსაკუთრებული გამოცდილება აღმოჩნდა სამხატვრო აკადემიის შენობის რესტავრაცია-კონსერვაციაში მონაწილეობა. ამ შენობას ირანული, კერძოდ კი, ყაჯარული პერიოდის არქიტექტურისა და კედლის მხატვრობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ ირანელი და სხვა უცხოელი სპეციალისტებიც.

გიორგი სიფრაშვილი - ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი. ჯერ კიდევ ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლისას აქვეყნებდა სპარსული ლიტერატურის ნიმუშების თარგმანებს. დაინტერესებულია ირანის ისტორიითა და ირან-საქართველოს ისტორიული ურთიერთობებით.

2016 წელს, ჯერ კიდევ პირველკურსელი ვიყავი, როცა ირანის საელჩოს კულტურის განყოფილების ინიციატივით, სხვა სტუდენტებთან ერთად, ერთი კვირით გავემგზავრე თავრიზში, სადაც სპარსულ ენაზე მოვისმინე ლექციები და პირველად საკუთარი თვალით ვიხილე ირანი.



საბედნიეროდ, ეს ერთადერთი შემთხვევა არ აღმოჩნდა. 2018 წელს ორი კვირა ვიმყოფებოდი ჯერ თეირანში, მერე - ჰამადანში, სადაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა 2500 წლის წინანდელმა „განჯნამემ“ - ქვაზე ნაკვეთმა წარწერამ, რომელიც მხოლოდ წიგნებში თუ მენახა.

სწავლის პერიოდში ვიმუშავე სათარჯიმნო ბიუროში „თბილისის ბიზნეს სახლი“, სადაც რამდენიმე თვის განმავლობაში ზეპირ თარჯიმნობას ვეწეოდი ქართულიდან სპარსულად და პირიქით.

სპარსულიდან ქართულ ენაზე ვთარგმნე და გამოვაქვეყნე: სამად ბეჰრანგის „მგელი და კრავი“ (2018) და ომარ ხაიამის როზაიები (2019), რომლებიც დაიბეჭდა „ლიტერატურულ სიღნაღში“. სტუდენტურმა ლიტერატურულმა ჟურნალმა „ანდამატი“ სადევ ჰედაიათის „უსახლკარო ძაღლის“ (2018) თარგმანი გამომიქვეყნა, ხოლო საიდ ნაფისის „მშობლიური სახლი“ (2019) ჟურნალ „ანეულში“ (2019) დაიბეჭდა.

ჩემი საბაკალავრო ნაშრომი მიემდგვნა ცნობებს სეფიანთა ეპოქაში საქართველოსა და ქართველების შესახებ, რომლებიც ეკუთვნის სპარსეთის სამეფო კარის ისტორიკოსს, მოჰამად მოჰსენ მოსთოუფის. ეს ცნობები აქამდე ქართულ ენაზე თარგმნილი არ ყოფილა.



რონი ცხოვრების ნახატების გამოფენა თსუ-ის მე-5 კორპუსში

გიორგი ხულორდავა - ირანისტი, მთარგმნელი და პოეტი. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამა. სწავლობს თსუ მაგისტრატურის საფეხურის პირველ კურსზე ირანისტიკის განხრით. მიღებული აქვს რამდენიმე ლიტერატურული პრემია, მათ შორის: „ამირანი“ (2015), ჯემალ აჯიაშვილისა (2019) და ვახუშტი კოტეტიშვილის (2020) სახელობის პრემიები. არის „გურული დღიურების“ ფონდის სტიპენდიანტი (2017-2018). გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული: „ცვალებადობა“ (ლექსები, სპარსული და ინგლისური პოეზიის თარგმანები, 2018) და „მწდეო, სუფიებს სულ სხვაგვარი ღვინო მთარგმნის“ (სპარსული პოეზიის ნიმუშები, 2020 წ.). შემდგენელია წიგნისა „126 ამბავი. კონსტანტინე გამსახურდია“ (2019 წ.).



ინტერესი აღმოსავლური სამყაროსადმი ჯერ კიდევ სკოლის წლებიდან მქონდა. შემდგომ ამას დაემატა ინტერესი სპარსული პოეზიისადმი, რაც განაპირობა ცნობილმა წიგნმა „ირანული პოეზია“ (1977). ამ წიგნმა გადამიშალა სრულიად ახალი სამყარო, აღმაფრთოვანა იქ წაკითხულმა მაღალმხატვრულმა თარგმანებმა. სპეციალობად ირანისტიკა ავირჩიე. ეს დარგი არა მხოლოდ ენასა და ლიტერატურას, არამედ კვლევის სხვადასხვა სფეროს მოიცავს: ისტორია, პოლიტოლოგია, ირანის

თანამედროვე მდგომარეობა, ეკონომიკა და ა.შ. რეგიონის უსაფრთხოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ირანის საზოგადოების, რელიგიის ისტორიისა და პოლიტიკის კარგად შესწავლა და გაანალიზება. მართალია, პანდემიამ ვითარება შეცვალა, მაგრამ, ზოგადად, ძალიან დიდი მოთხოვნაა სპარსულის მცოდნე ახალგაზრდებზე. თუ სტუდენტები, რომლებსაც ჯერ არ გაუკეთებიათ არჩევანი, ირანისტიკას აირჩევენ, ამით მხოლოდ მოიგებენ.

ირანში რამდენჯერმე ვიმოგზაურე. ირანის ქალაქებიდან თეირანში, ბუმეჰრში, თავრიზსა და შირაზში ვარ ნამყოფი. ამ ოთხ ქალაქში მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების ფარგლებში ვიყავი, რომელსაც ირანის მხარე აფინანსებდა. ეს იყო შესანიშნავი საშუალება, უფრო ხელშესახებად გვეგრძნო ირანი, გაგვევლო არაჩვეულებრივი პრაქტიკა ენაში. ვიყავით არაერთ მუზეუმში, არაერთ კულტურულ და ისტორიულ ადგილას, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. გამოვეყოფდი ქალაქ შირაზს, სადაც გვქონდა ბედნიერება, გვენახა საადისა და ჰაფეზის მავზოლეუმები. დაუვიწყარი იყო პერსეპოლისის დათვალიერება.



ქალაქ ბუმეჰრში

დაჩი უსტარაშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. გატაცებულია ალპინიზმით, არაერთი მწვერვალი დაულაშქრავს, მეგზურობას უწევს მოყვარულ მთამსვლელებს, მათ შორის, ირანელებს. დაჩის მეუღლე - ხატია ჭინჭარაულიც ირანისტია.



ბავშვობიდან მიზიდავდა ისლამური კულტურა და აღმოსავლეთი, რის გამოც სწავლა აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით, ირანისტიკის სპეციალობაზე გავაგრძელე და დღესაც კმაყოფილი ვარ ცხრა წლის წინ მიღებული გადაწყვეტილებით. ბაკალავრიატის დამთავრებისთანავე ჩავაბარე ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე. ახლა ფილოლოგიის (სპეციალობა - ირანული ფილოლოგია) სადოქტორო პროგრამის სტუდენტი ვარ.

ირანის საელჩოს კულტურის განყოფილების მხარდაჭერით რამდენჯერმე ვიმყოფებოდი ირანში როგორც სასწავლო, ასევე, კულტურულ-შემეცნებით ტურებზე. სტუდენტობის პერიოდში ჩემი პროფესიით არაერთ

სამსახურში მიმუშავია. გამოვეყოფდი თანამშრომლობას კომპანია “KVG”-თან, რომელმაც საშუალება მომცა, გავცნობოდი ავღანეთში მიმავალ ქართველ ჯარისკაცებს, გამეცნო მათთვის ისლამური, აღმოსავლური და, კერძოდ, ავღანური კულტურის თავისებურებები.



ქართველი სტუდენტები პერსეპოლისში

ნინო ოშიაძე - დამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ირანისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. გეგმავს ამავე მიმართულებით დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელებას. ნინოს მეუღლე - დაჩი ლურსმანაშვილიც ირანისტია.

მე პირველ კლასიკურ გიმნაზიაში ვსწავლობდი, სადაც სპარსული ენა დაწყებითი კლასებიდანვე ისწავლებოდა. სწორედ იმ დროიდან გამიჩნდა ინტერესი ამ ენის მიმართ. გადავწყვიტე, უნივერსიტეტში ისეთი მიმართულება ამერჩია, სადაც სპარსულ ენას შევისწავლიდი და ირანულ კულტურას გავიცნობდი. ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია ენის, ლიტერატურის, კულტურის, ისტორიის მიმართ ინტერესი თანაბრად დაიკმაყოფილოს.



სპარსულენოვანი ლექტორიც მიკითხავდა ლექციებს. ჩვენი თაობის ყველა ჯგუფს ჰქონდა იმის ფუფუნება, რომ უშუალოდ სპარსულ ენაზე მოსაუბრესთან ცოცხალი კონტაქტი ჰქონოდა. მოკლევადიან სასწავლო პროგრამებშიც მიმიღია მონაწილეობა. თეირანში, შაჰიდ ბეჰემთის

უნივერსიტეტში ზაფხულში სპარსული ენის ერთთვიანი კურსი გავიარე, რომელსაც საადის ფონდი აფინანსებდა. ლექციებს ირანელი ლექტორები გვიკითხავდნენ. ამ მოგზაურობიდან ორი წლის შემდეგ თავრიზის ერთკვირიან სასწავლო პროგრამაში მივიღე მონაწილეობა. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დროსაც კი უკვე დასაქმებული ვიყავი. ვახერხებდი სწავლისა და მუშაობის შეთავსებას. ჯერ ტურისტულ კომპანიაში ვმუშაობდი, შემდეგ უკვე სხვადასხვა ადგილას - თარჯიმნად. უკვე წლებია, ვმუშაობ სპარსული და ქართული ენის რამდენიმე ცენტრში - ირანელებს ვეხმარები ქართული ენის შესწავლაში, ხოლო ქართველებს სპარსულ ენას ვასწავლი.



ანდრო ნიანკინი - დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ძირითადი სპეციალობა - ირანისტიკა, მეორე სპეციალობა - იაპონისტიკა. მეოთხე კურსიდან მოყოლებული, ორივე სპეციალობით მუშაობს.



თავდაპირველად (2015-2017) იაპუნურ კომპანია STB Japan-ში დავიწყე მუშაობა, როგორც CSD დეპარტამენტის თანამშრომელმა. შემდგომში ამავე დეპარტამენტის უფროსად დავინიშნე. 2017 წელს გადავედი იაპონურ კომპანია Auto Com Japan-ში, სადაც დღემდე ვმუშაობ კონსულტანტ-თარჯიმნად, ფრილანსერად.

ჩემი, როგორც ირანისტის, პირველი სამსახური ირანული ტურისტული კომპანია „ქურუმ“ იყო. ჯერ სპარსულენოვან გიდად ვმუშაობდი, შემდეგ მთავარ გიდად გადამიყვანეს. 2019 წელს კომპანია RMG Gold-ისგან მივიღე შეთავაზება ირანული პროექტების კონსულტანტის

პოზიციაზე. 2019 წლის დეკემბერში გადავედი კომპანია ZDA Mining-ში, სადაც დღემდე ვმუშაობ. ამ საერთაშორისო კომპანიის ძირითადი საქმიანობა ირანში ოქროს მოპოვებაა. კომპანიას ირანში, აღმოსავლეთ აზერბაიჯანში, ორი ოქროს საბადო აქვს. მე აღმასრულებელი დირექტორის ასისტენტად ვმუშაობ. ხშირად მიწევს შეხვედრები ირანელ მინისტრებთან, გუბერნატორებთან, უშიშროების საბჭოს წევრებთან, სახელმწიფო უწყებების მმართველებთან. ჩემი სამუშაო გრაფიკი ასეთია: 40 სამუშაო დღე ირანში, 20 დასვენების დღე საქართველოში (ავიაბილეთებს, საცხოვრებელს კომპანია უზრუნველყოფს). კომპანიაში მაღალი ანაზღაურებებია. აქ მუშაობისას ძალიან გამომადგა სპარსული ლიტერატურის, ირანული კულტურის, ისტორიისა და პოლიტიკის ცოდნა ანუ ირანისტიკა. ამჟამად ძირითად დროს ირანში ვატარებ, ვცხოვრობ თავრიზში და თავს კომფორტულად ვგრძნობ.

თინათინ წიკლაური - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე „სატირა და იუმორი ფარჰად ჰასანზადეს საყმაწვილო პროზაში“. დამთავრებული აქვს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ირანისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. არის სპარსულენოვანი სტუდენტური კონფერენციის გამარჯვებული, ომარ ხაიმის სახელობის ოლიმპიადის პრიზიორი. მისი თარგმანები დაბეჭდილია ჟურნ. „არმაღანში“, იყო ორენოვანი ჟურნ. „კალმის“ თანამშრომელი.



სპარსულ ენას ჯერ კიდევ თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში ვსწავლობდი. ენის უკეთესად შესწავლის მიზნით, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში დავიწყე სპარსული ენის წრეზე სიარული.

მაგისტრატურის დასრულებისთანავე დავიწყე მუშაობა საქართველოში ირანის საელჩოს კულტურის განყოფილებაში (2012-2016). შემდეგ მუშაობა განვაგრძე საქართველო-ირანის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში თარჯიმან-რეფერენტის პოზიციაზე (2017-2019), ხოლო 2019-2020 წწ.-ში ირანულ საერთაშორისო კომპანია „უორლდ შოტერით გრუფში“ თარჯიმნად ვიმუშავე.

2020 წ. მონაწილეობა მივიღე ფონდ „დიოგენეს“ პროექტში „მთარგმნელთა კლუბი და შემოქმედებითი სახელოსნო“. პროექტის ფარგლებში შესრულებული ჩემი თარგმანები განთავსებულია მთარგმნელთა კლუბის ონლაინ საიტზე: <http://diogeneclub.ge>

ამჟამად აქტიურად ვმუშაობ სადოქტორო დისერტაციაზე და ვაგრძელებ თანამშრომლობას საქართველოში ირანის საელჩოს კულტურის განყოფილებასთან. მისმა ხელმძღვანელმა, ბატონმა ჰამიდ მოსთაფავიმ დამაკავშირა ცნობილ ირანელ საბავშვო მწერალთან, ფარჰად ჰასანზადესთან, რომლის შემოქმედებასაც ვიკვლევ. ყველას არ აქვს საშუალება, რომ უშუალო კონტაქტი ჰქონდეს ავტორთან, რომლის შესახებაც ნაშრომს წერს. მე ამ მხრივ ძალიან გამიმართლა.

მალხაზ არჩვაძე - დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო კურსები ირანისტიკაში. იყო პრეზიდენტის სტიპენდიანტი. 2016-2019 წლებში DAAD-ის ფონდის დაფინანსებით მარბურგის უნივერსიტეტში ამავე მიმართულებით გაიარა მაგისტრატურა. 2019 წლიდან დღემდე არის ბამბერგის უნივერსიტეტის ირანისტიკის კათედრის დოქტორანტი, ხოლო 2020 წლის აგვისტოდან - ამავე კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი.



ჩემი გადაწყვეტილება, გავმხდარიყავი ირანისტი, იმ დიდმა ინტერესმა განაპირობა, რომელიც საქართველოს ისტორიის მიმართ მქონდა. უნივერსიტეტში მოხვედრამდე უკვე ვიცოდი საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში სპარსულენოვანი წყაროების დიდი მნიშვნელობის შესახებ. რადგანაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის დეპარტამენტი იძლეოდა ამ მიმართულებით სპეციალიზების შესაძლებლობას, არჩევანი სწორედ მასზე შევაჩერე.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის პერიოდში საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს ხელშეწყობით ორჯერ გავემგზავრე ირანში მოკლევადიან სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.

2016-2019 წლებში DAAD-ის ფონდის დაფინანსებით მარბურგის უნივერსიტეტში ირანისტიკის მიმართულებით ხელახლა გავიარე მაგისტრატურა. ჩემი მიზანი იყო, გავცნობოდი ირანისტიკაში სწავლების დასავლურ სტანდარტებს და თეორიულ-მეთოდური თვალსაზრისით გამეფართოებინა ჩემი ცოდნა. ამავე პერიოდში ოთხი სემესტრის განმავლობაში ასისტენტობას ვუწევდი სპარსული ენის პროფესორს ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის სპარსული ენის სწავლების საქმეში.

2019 წლიდან დღემდე ვარ ბამბერგის უნივერსიტეტის ირანისტიკის კათედრის დოქტორანტი, ხოლო 2020 წლის აგვისტოდან - ამავე კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი. ჩემი სადოქტორო პროექტი ფინანსდება Deutsche Forschungsgemeinschaft-ის მიერ.

ვფიქრობ, ჩემი არჩევანი - ირანისტიკა პრაქტიკული თვალსაზრისითაც მომგებიანი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას, სწავლის პარალელურად, არაერთხელ ვიყავი დასაქმებული როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. აღნიშნული კი მიქმნის განცდას, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ, თანაც უკვე ამაღლებული კვალიფიკაციით, არ გამიჭირდება ისეთ სფეროში დასაქმება, სადაც დაგროვილი ცოდნის რეალიზებასა და გაღრმავებას შევძლებ.

ეკატერინე გოგალაძე - ფილოლოგიის დოქტორი, ირანისტი. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ირანისტიკის განხრით. ამჟამად თსუ-ში სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტია, უძღვება სპარსული ენის საფაკულტეტო კურსს. 2020 წლის 28 დეკემბერს წარმატებით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი „ფატიკური კომუნიკაცია და სამეტყველო ეტიკეტი სპარსულსა და ქართულში“.



ჩემი სტუდენტობიდან მოყოლებული, სტუდენტურ წრეში ვტრიალებ. ძალიან საინტერესო ახალგაზრდები მოდიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი სტუდენტი ვერ დაიკვებნის იმით, რომ აღმოსავლურ სამყაროს იცნობს, იცის, რა არის აღმოსავლეთი. ბევრი შემხვედრია, არაბულის ან თურქულის არჩევა რომ უნდათ, მაგრამ, როცა ვეკითხები, რატომ, ჩამოყალიბებული პასუხი არ აქვთ, უბრალოდ, უნდათ. მე სულ ვცდილობ, რომ მათ შეძლებისდაგვარად მივაწოდო ინფორმაცია ირანის შესახებ. ახალბედა სტუდენტებს აშინებთ ჩადრიანი ქალები, შეზღუდული უფლებები, რაც არასწორი ინფორმაციისა და არსებული სტერეოტიპების შედეგია.

ირანს აქვს ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან საინტერესო, როგორც გასული საუკუნეების, ისე დღევანდელი კულტურა. მე, მაგალითად, ძალიან მიყვარს ირანული კინემატოგრაფია. იგივე შემიძლია ვთქვა ფოტოგრაფიაზე, პოეზიაზე, მხატვრობაზე. სულ ვეუბნები სტუდენტებს, ძალიან ნეიტრალური პოზიციიდან, რომ ისწავლონ სპარსული, ძალიან ბევრ სფეროში გამოადგებათ: ხელოვნებაში, მუსიკაში, ლიტერატურაზე ხომ საუბარიც ზედმეტია.

თეა ვარდოსანიძე - დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი სპარსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. ამჟამად ცხოვრობს მადრიდში. ხელმძღვანელობს ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოებას (SEI).

მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ცენტრში დავიწყე მუშაობა სადოქტორო თემაზე „თეიმურაზ პირველის „იოსებზილიხანიანი“ და მისი სპარსული ხელნაწერები თბილისში.“ რამდენიმე წელი



პარალელურად ვმუშაობდი ირანულ კომპანია „ტოლიპერსში“, ხოლო 2005-2007 წლებში თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოში. საელჩოში მუშაობის პერიოდში, ირანული მხარის დაფინანსებით, გავემგზავრე ირანში სპარსული ენის კურსებზე, სადაც გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე ალფრედო გუტიერეს კავანა, რომელიც, ასევე, ირანისტია. იმავე წელს ვიქორწინეთ თბილისში და გავემგზავრეთ ირანში, სადაც ირანის შესახებ ერთ-ერთი ესპანური გამომცემლობის დაკვეთით ერთი წლის

განმავლობაში ვმუშაობდით წიგნის მასალებზე. წიგნი 2010-2012 წლებში ორ ნაწილად გამოიცა.

2015 წელს სწავლა განვაგრძე მადრიდის აუტონომას უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების კვლევების დეპარტამენტის დოქტორანტურაში. სადოქტორო დისერტაცია 2019 წლის იანვარში დავიცავი. 2016 წლიდან ვასწავლი სპარსულს მადრიდის ერთ-ერთ კულტურულ ცენტრში „კასა ასია“ (აზიური სახლი).

2020 წლიდან ვხელმძღვანელობ *ესპანეთის ირანისტთა საზოგადოებას* (Sociedad Española de Iranología – SEI), რომლის მიზანია სპარსული ენისა და კულტურის გაცნობა ესპანელებისათვის. საზოგადოება ყოველწლიურად ესპანეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში ატარებს ირანისტთა საერთაშორისო კონგრესს. ბოლო წლებია, ვცდილობთ, გავაფართოვოთ გეოგრაფიული არეალი. უკანასკნელი კონგრესი გაიმართა თეირანის უნივერსიტეტში 2018 წელს და გვსურს, ერთ-ერთი უახლოესი კონგრესი საქართველოშიც ჩატარდეს.

გიორგი სახლთხუციშვილი - დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ირანის ისტორიის სპეციალობით. 1996-2008 წწ. მუშაობდა თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოში. 2008-2018 წწ.-ში კერძო სექტორში გადაინაცვლა - სათარჯიმნო-საკონსულტაციო ბიუროს საქმიანობას წარმატებით უძღვებოდა. 2018 წლიდან დიპლომატიურ სფეროს დაუბრუნდა და ირანში საქართველოს საელჩოში განაგრძო მუშაობა (მრჩეველი, კონსული).



ვფიქრობ, ვისაც საქართველოს ისტორია უყვარს და სამშობლოს მომავალზე ფიქრობს, აუცილებლად უნდა იცნობდეს ირანს, ამ ქვეყნის წარსულს, დღევანდელ მდგომარეობას, მის კულტურას. ჩვენი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების, მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლის პროცესი მუდამ გადაჯაჭვული იყო ამ ავკარგიანი სამხრეთელი მეზობლის ბედთან. ასევე უდავოა ირანული ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი როლი ქართული კულტურის განვითარებაში.

რაც შეეხება პრაქტიკულ მხარეს, მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცხოვრება ამ დარგს დავეუკავშირე. აღმოსავლეთმცოდნეობა ფართო თვალსაწიერს გიხსნის, მრავალმხრივი ცოდნის მიღების საშუალებას გაძლევს. თუ არ იზარმაცებ, წარმატებული შრომითი კარიერისა და პირადი

ცხოვრების აწყობა არ გაგიჭირდება.

მოხდა ისე, რომ უნივერსიტეტის დასრულებისთანავე თბილისში ირანის საელჩოში დავიწყე მუშაობა. მაშინ სასაუბრო ენის პრაქტიკის საშუალება არ არსებობდა და უშუალოდ მუშაობის პროცესში მომიწია „ფირდოუსის ენიდან“ ახალ სპარსულზე გადასვლა. დღეისათვის ამის პრობლემაც აღარ დგას და ამჟამად ჩვენს უნივერსიტეტში როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე სპარსულის ბრწყინვალე სპეციალისტები ასწავლიან. დაბოლოს, უდიდესი პატივია, როდესაც დიპლომატიურ სამსახურში დგები და საკუთარი ქვეყნის ღირსეულად წარმოდგენისთვის შეგიძლია დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების სათანადოდ რეალიზება.

ასე რომ, ვისაც სურს, გამოადგეს სამშობლოს, იყოს წარმატებული პროფესიონალი და შეძლოს დასახული მიზნების მიღწევა, მისთვის ირანისტიკა ძალიან კარგი და პერსპექტიული ასპარეზია.

